

**პუბლიკაციის ავტორი:**

მალგოჯატა ქმონაძე  
„ერუ“-უსინათლო პირთა დახმარების  
ასოციაცია“ (პოლონეთი)

**თარჯიმანი:**

ლელა პაპუაშვილი  
თეონა გვალია

**რედაქტორი:**

კამილა სკალსკა (პოლონეთი)  
მარიამ გოდუაძე (საქართველო)

საქართველო 2019

**პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის  
თანამშრომლობის განვითარების პროგრამის ფარგლებში  
პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ**



პოლონეთის დახმარება



HumanDoc

# სარჩევი

<b>შმსავალი</b> .....	<b>3</b>
<b>ყველაფერი, რაც ყრუუსინათლოების შესახებ უნდა ვიცოდეთ</b> .....	<b>7</b>
<b>1. ვინ არის ყრუ-უსინათლო პირი – განმარტების სირთულე</b> .....	<b>7</b>
ყრუ-უსინათლო პირების კლასიფიკაცია .....	<b>6</b>
<b>2. მხედველობისა და სმენის დაქვეითების მიზეზები და სიმპტომები</b> .....	<b>12</b>
თანდაყოლილი ყრუ-უსინათლობის მიზეზები .....	<b>13</b>
შეძენილი ყრუ-უსინათლობის მიზეზები .....	<b>14</b>
<b>3. სმენისა და მხედველობის დარღვევების თანმხლები შედეგები</b> .....	<b>23</b>
აშერის სინდრომის მქონე პირის ტიპური ფუნქციონირება .....	<b>25</b>
<b>4. როგორ დაეძლიოთ ყრუ-უსინათლობის შედეგები</b> .....	<b>28</b>
მხედველობის და სმენის დამხმარე მოწყობილობები .....	<b>30</b>
ყოველდღიური საქმიანობები .....	<b>32</b>
რეაბილიტაცია .....	<b>34</b>
თარჯიმან-მეგ ზური .....	<b>34</b>
ოჯახი და გარემო .....	<b>35</b>
არის თუ არა ყრუ-უსინათლო პირისთვის ნორმალური ცხოვრება შესაძლებელი? .....	<b>36</b>
<b>ყრუ-უსინათლო ადამიანთან კომუნიკაციის შესახებ</b> .....	<b>37</b>
<b>1. ყრუ უსინათლოთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ჩემი თანამოსაუბრე?</b> .....	<b>37</b>
იგი არ ფლობს არც ერთ ენას .....	<b>38</b>
უესტური ენის მომხმარებლები .....	<b>39</b>
ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებლები .....	<b>40</b>
<b>2. ტაქტილური კომუნიკაცია</b> .....	<b>42</b>
ხელის გულზე დახატული ლათინური ანბანის ასოები .....	<b>42</b>
ტაქტილი .....	<b>43</b>
ლორმის ანბანი .....	<b>44</b>
<b>3. აქტიური მეგზურობა</b> .....	<b>45</b>
<b>4. უფრო მარტივი კონტაქტი და კომუნიკაცია</b> .....	<b>49</b>
სმენის დომინანტური დახიანება .....	<b>49</b>
პრაქტიკული რეკომენდაციები .....	<b>50</b>
მხედველობის დომინანტური დაქვეითება .....	<b>52</b>
პრაქტიკული რეკომენდაციები .....	<b>53</b>
სრულიად ყრუ-უსინათლო პირები .....	<b>55</b>
პრაქტიკული რეკომენდაციები .....	<b>56</b>

## შესავალი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა პროექტის: „სმენადაქვეითებული და უსინათლო პირების მხარდაჭერის სისტემის შექმნა საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს პოლონური ფონდი ჰუმან დოკი (HumanDoc Foundation). პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის თანამშრომლობის განვითარების პროგრამის ფარგლებში პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

პუბლიკაციაში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არის ყრუ-უსინათლო პირი, სმენა-მხედველობის ერთდროული დარღვევის მქონე პირების კლასიფიკაცია, მხედველობის და სმენის დაქვეითების მიზეზები, დამხმარე მოწყობილობები, კომუნიკაციის სახეები და სხვა.

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული პუბლიკაცია ხელს შეუწყობს საქართველოში ყრუ-უსინათლო პირების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათი მხარდაჭერის სისტემის შექმნას.

ყრუ-უსინათლო პირთა მხარდაჭერა საქართველოში 2018 წელს დაიწყო. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან ეუზიარებთ ქართველ ხალხს პოლონეთის ოცდაათწლიან გამოცდილებას სმენა-მხედველობის დარღვევათა მქონე პირების მხარდაჭერისა და და დახმარების მიზნით. ჩვენი საქმიანობა შეიძლება დაიყოს რამდენიმე მიმართულებად:

### • **ყრუ-უსინათლო პირებთან მუშაობა**

პროექტის დაწყებისას საქართველოში არ არსებობდა ტერმინი, რომელიც განსაზღვრავდა, თუ ვინ არის ყრუ-უსინათლო პირი, არ იყო ზუსტად ცნობილი, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ და რა ფორმებით გამოვუცხადოთ მხარდაჭერა ამგვარი დარღვევის მქონე ადამიანებს. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საქართველოში დაახლოებით 800 ყრუ-უსინათლო პირია – ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ მხედველობის და სმენის ერთ-დროული დარღვევა.

ჩვენ მიერ დაარსდა ოთხი კლუბი, რომლებიც მუშაობს თბილისში, ზუგდიდში, თელავსა და ბათუმში და მხარს უჭერს ყრუ-უსინათლო პირებს. კლუბებში ჩვენი ექსპერტები – სპეციალისტები ყრუ-უსინათლო პირების ასწავლიან, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ყოველდღიური ცხოვრების პრობლემებს, იურთიერთონ, ასევე იმართება სხვადასხვა შეხვედრა ყრუ-უსინათლო პირების მხარდასაჭერად. კლუბები დამატებით აღჭურვილია სპეცსაშუალებებით – ტექნიკით, რაც დაეხმარება ყრუ-უსინათლო პირებს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

### • **სპეციალისტებისა და ექსპერტების მომზადება**

ჩვენი შემდეგი მიმართულებაა საქართველოში სპეციალისტებისა და ექსპერტების – თარჯიმან-მეგზურების მომზადება. მათი ამოცანაა ყრუ-უსინათლო პირებისათვის ყოველდღიური საქმიანობის, ასევე საკომუნიკაციო ანბანების (ლორმი, ტაქტილი) სწავლება და გადაადგილებაში დახმარება.

ქართველ ლინგვისტებთან თანამშრომლობით გადაითარგმნა ლორმის ანბანი, რომელიც ეხმარება სმენა-მხედველობის მძიმე დარღვევის მქონე პირებს კომუნიკაციის დასამყარებლად. „გეოლორმის“ – ქართული ლორმის ანბანის – საშუალებით ინფორმაცია გადაეცემა ხელის გულზე და ადამიანებს მიეცემათ საზოგადოებრივ თუ კულტურულ ცხოვრებაში მოღვაწეობის შესაძლებლობა.

### • სისტემური ცვლილებები

აღნიშნული მიმართულება ეხება სისტემურ ცვლილებებს ყრუუსინათლობასთან დაკავშირებით. ვთანამშრომლობთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან და ექსპერტებთან, შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს ყრუუსინათლო პირებისთვის სათანადო დახმარებამხარდაჭერის სისტემის შექმნისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე.

### • განათლება

პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს განათლება. ჩვენი ექსპერტები შეხვდნენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და თელავის უნივერსიტეტებში სტუდენტებსა და ლექტორ-მასწავლებლებს. აღნიშნულ შეხვედრებზე წარმოდგენილ იქნა ყრუუსინათლო პირების პრობლემები. ჩვენი პროექტი არის ინოვაციური და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით საქართველოში პიონერები ვართ.



ფორუმების ავტორი: აგნეშკა კიელონკა

**იმისათვის, რათა დახმარებას ჰქონდეს სათანადო შედეგი, საჭიროა, კარგად გაიცნოთ ის, ვისაც ეხმარებით ნიკოლოზ გოგოლი**

ტერმინი „ყრუუსინათლობა“ ან „ყრუ“-უსინათლო პირი“ არ არის იმთავითვე გასაგები არაპროფესიონალისთვის და საჭიროებს დეტალურ ახსნას. ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აზრი, რომ ეს არის ადამიანი, რომელსაც არაფერი ესმის და ვერაფერს ხედავს. ტერმინი – „ყრუ“-უსინათლო პირი“ განსაზღვრავს ადამიანს, რომელსაც ერთდროულად აქვს სმენისა და მხედველობის დარღვევა. ბევრ მათგანს, სხვადასხვა ხარისხით, შეუძლია ერთი ან ორივე შეგრძნების გამოყენება.

**1. ვინ არის ყრუ-უსინათლო პირი – განმარტების სირთულე**

ყრუ-უსინათლო პირის ერთმნიშვნელოვანი და უნივერსალური განმარტება არ არსებობს<sup>1</sup>. ყრუ-უსინათლო პირთა დახმარების ასოციაციის მიერ მიღებული დეფინიცია ეხება

---

<sup>1</sup> მაგ., ბავშვების და მოზრდილების განმარტება განსხვავდება ერთმანეთისგან. ბავშვების შემთხვევაში, განმარტება, ძირითადად, გამოიყენებს განათლებასთან დაკავშირებულ ასპექტებს და ხაზს უსვამს, რომ სმენისა და მხედველობის ერთდროული დაზიანების გამო, ბავშვები საჭიროებენ უნიკალურ სასწავლო პროგრამებს და არა პროგრამებს, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ სმენის ან მხედველობის დაზიანების ან სხვა შუამ ბავშვებისთვის. ამ ნაშრომში ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები გამოტოვებულია, რადგან მათი განხილვა არ წამოადგენს პუბლიკაციის მიზანს.

ზრდასრულ პირებს (ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში). ეს გახლავთ ე.წ. ფუნქციური განმარტება, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის ზოგად მდგომარეობას. **ყრუ-უსინათლო პირები არიან ადამიანები, რომლებსაც ერთდროულად<sup>2</sup> სმენისა და მხედველობის სერიოზული დაზიანება აქვთ და, აქედან გამომდინარე, გართულებული აქვთ კომუნიკაცია, დამოუკიდებლად გადაადგილება და ინფორმაციის მიღება.**

ასეთი ფართო განმარტება ყრუ-უსინათლო პირებისთვის შესაძლებლობების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. წინა განმარტებები განსაზღვრული იყო სამედიცინო პარამეტრების საფუძველზე, რაც იძლეოდა წარმოდგენას სმენისა და მხედველობის დაქვეითების ხარისხის შესახებ (მათ შორის, სმენის დაზიანების ხარისხი დეციბელებში სამეტყველო სიშირეებთან მიმართებით და მხედველობის სიმახვილის დაქვეითება და/ან მხედველობის არეალის შეზღუდვის ხარისხი), რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა ანაცვლებდეს ადამიანის ფაქტორს. ამასთან, სამედიცინო კრიტერიუმები ყოველთვის არ არის სანდო: ზოგჯერ მხედველობის და სმენის შედარებით მსუბუქი დაზიანებების მქონე პირები უარესად ფუნქციონირებენ, ვიდრე გაცილებით მძიმე დაზიანებების მქონენი.

აქვე უნდა მოვიყვანოთ აღნიშნული ტერმინის Nordic Staff Training Centre for Deafblind Services-ის (NUD, 2006) მიერ შემუშავებული განმარტება, რომელსაც დიდხანს ელოდა ბევრი ქვეყანა. აღნიშნული განმარტების თანახმად, ყრუსინათლობა არის სპეციფიკური ტიპის შეზღუდვა, რომელიც გულისხმობს ადა-

---

<sup>2</sup> ეს გულისხმობს, რომ ადამიანს ერთდროულად აქვს დაზიანებული სმენა და მხედველობა, ანუ ორივე შეგრძნება. სშირად არასწორად ესმით სიტყვა „ერთდროული“ და მიიჩნევენ, რომ ის გულისხმობს სმენისა და მხედველობის ერთსა და იმავე დროს, ერთი და იგივე მიზეზით დაზიანებას, მაგ., უბედური შემთხვევის შედეგად.



მიანის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი შეგრძნების – სმენისა და მხედველობის დაზიანების კომბინაციას. ასეთი შეზღუდვა ხელს უშლის აღნიშნული პირების დამოუკიდებელ ფუნქციონირებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან ჩართვას. ასეთი პირები, ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შესაბამისი მომსახურებებით, ადაპტირებული გარემოთი და, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი ტექნოლოგიებით.

ეს განსაზღვრება ყველაზე მეტად უსვამს ხაზს იმას, რომ ყრუ-უსინათლო ადამიანებს ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებლად სჭირდებათ მხარდაჭერა. ეს ასევე შეესაბამება ყრუ-უსინათლოთა უფლებების დეკლარაციას, რომელიც ევროპარლამენტმა 2004 წელს მიიღო. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმულია ყრუ-უსინათლობის ინდივიდუალურობა და სპეციფიკურობა და ის მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნებს სამართლებრივი რეგულაციების მიღებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ყრუ-უსინათლო ადამიანების მათზე მორგებული მომსახურებით უზრუნველყოფას.

## **ყრუ-უსინათლო პირების კლასიფიკაცია**

ყრუ-უსინათლო პირები შეიძლება განაწილდნენ სხვადასხვა ჯგუფებში, აღნიშნული პრობლემების წარმოშობის დროის, ე.ი., სმენისა და მხედველობის პრობლემების გამოვლენისა და ორივე შეგრძნების დაზიანების ხარისხის მიხედვით. ეს ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ყრუ-უსინათლო ადამიანების საქმიანობასა და მათთან მუშაობის მეთოდების არჩევაზე.

იმის მიხედვით, თუ როდის, სიცოცხლის რომელ პერიოდში ჩამოყალიბდა შეზღუდვა, განარჩევენ ყრუ-უსინათლო პირების ორ ძირითად ჯგუფს:

- თანდაყოლილი ყრუსინათლობის მქონე პირები, რომლებიც სმენისა და მხედველობის პრობლემებით დაიბადნენ ან დაბადებისთანავე განუვითარდათ;
- შეძენილი ყრუსინათლობის მქონე პირები, რომლებსაც მოგვიანებით დაუზიანდათ სმენა და მხედველობა. მათში განიხილება შემდეგი კატეგორიები:
  - o სმენის თანდაყოლილი პრობლემის მქონე პირები<sup>3</sup>, რომლებსაც მოგვიანებით დაუზიანდათ მხედველობა<sup>4</sup>;
  - o მხედველობის თანდაყოლილი პრობლემის მქონე პირები, რომლებსაც მოგვიანებით დაუზიანდათ სმენა;
  - o პირები სმენისა და მხედველობის შეძენილი ან მოგვიანებით გამოვლენილი (არ არის აუცილებელი ერთდროული აღმოჩენა) დაზიანებით;

**ყრუსინათლო პირების მრავალგვარობა და ყრუსინათლობის გამოვლენის დრო**

**თანდაყოლილი ყრუსინათლობის მქონე პირები**



**პირები სმენისა და მხედველობის შეძენილი ან მოგვიანებით გამოვლენილი (არ არის აუცილებელი ერთდროული გამოვლენა) დაზიანებით**

<sup>3</sup> იგულისხმება დაზიანება, რომელიც წარმოიშვა გარკვეული ფაქტორების (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა და სხვ.) შედეგად ცხოვრების უფრო გვიან ეტაპზე.

<sup>4</sup> იგულისხმება თანდაყოლილი გენეტიკური დაზიანება, რომლის კლინიკური ნიშნები დაბადებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ვლინდება.

რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თანდაყოლილი ყრუუსინათლობის მქონე პირები და პირები, რომლებსაც შეზღუდვა მოგვიანებით (ზოგჯერ გაცილებით გვიან) განუვითარდათ. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ მხოლოდ ერთი სენსორის – მხედველობის ან სმენის თანდაყოლილი ან შექმნილი დაზიანება და მოგვიანებით დაუზიანდათ მეორე. ისინი მიჩვეულები იყვნენ ცხოვრებას დარღვეული მხედველობით (როგორც უსინათლო ან მცირემხედველი) ან სმენით (როგორც ყრუ ან სმენადაქვეითებული) და საორიენტაციოდ იყენებდნენ დაუზიანებელ შერძნებას (სმენას ან მხედველობას). მეორე ძირითადი გრძნობის შემდგომი დაზიანება ამ შესაძლებლობას ზღუდავს და მოითხოვს მუდმივ კორექტირებას. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთულია შექმნილი ყრუუსინათლობის მქონე ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც ორივე შერძნებას კარგავენ მოკლე დროში ან – ერთდროულად. ისინი ადრე ფუნქციონირებდნენ, ხედავდნენ და ესმოდნენ – ახლა კი განიცდიან შოკს, რადგან, მოულოდნელად, სამყაროსგან მოწყვეტილად გრძნობენ თავს.

**მხედველობისა და სმენის დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით, ყრუუსინათლო პირები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:**

- ერთდროულად სრულიად ან პრაქტიკულად ყრუ და უსინათლო პირები;
- ერთდროულად ყრუ და მცირემხედველი პირები
- ერთდროულად სმენადაქვეითებული და უსინათლო პირები
- ერთდროულად სმენადაქვეითებული და მცირემხედველი პირები

## ყრუ-უსინათლო პირების მრავალგვარობა და მხედველობისა და სმენის დარღვევის ხარისხი



ყრუ-უსინათლო პირების ნაწილი სრულიად ყრუ და უსინათლოა, ნაწილს კი სხვადასხვა ხარისხის ნარჩენი სმენა და მხედველობა აქვს, შესაბამისად, განსხვავებულია მათი შესაძლებლობებიც. ნარჩენი სმენისა და მხედველობის მქონე პირებს მეტი შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომელთა სმენა-მხედველობა ძალიან სუსტია და თითქმის – უფუნქციო.

უნდა გვახსოვდეს, რომ მნიშვნელოვანია როგორც სმენისა და მხედველობის დაზიანების გამოვლენის დრო, ასევე, მათი ხარისხი. ამ ორი ელემენტის 16 კომბინაცია არსებობს. ამასთან, ერთი და იმავე კომბინაციის პირობებში, სმენითი და/ან მხედველობითი შესაძლებლობები შეიძლება იყოს განსხვავებული და მეტ-ნაკლებად გამოყენებული.

## 2. მხედველობისა და სმენის დაქვეითების მიზეზები და სიმპტომები

ყრუ-უსინათლობა სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული და ეს მიზეზები სხვადასხვა კატეგორიებად შეიძლება დაიყოს. აქ ისინი ორ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული, იმის მიხედვით, თუ როდის, სიცოცხლის რა პერიოდში დაზიანდა ორივე სენსორი, ანუ როდის დაიწყო ადამიანმა ფუნქციონირება ყრუ-უსინათლობით. არსებობს თანდაყოლილი თუ შექმ-

ნილი ყრუ-უსინათლობის გამომწვევი გარემოებები, პირველი დომინირებს ბავშვებში, მეორე – მოზრდილებში. ამასთან, ყრუუსინათლობის გამომწვევი ბევრი მიზეზის განსაზღვრა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

## თანდაყოლილი ყრუუსინათლობის მიზეზები

ყრუუსინათლობის გამომწვევი ფაქტორები ცვლადია. 70-იან წლებში აღნიშნულ დარღვევას დედის მიერ ორსულობისას გადატანილი წითურა იწვევდა, რაც ამჟამად აღარ წარმოადგენს განსაკუთრებულ საფრთხეს. დღეისათვის თანდაყოლილი ყრუუსინათლობის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია:

- გენეტიკური სინდრომები (მათ შორის მემკვიდრეობითი სინდრომები, CHARGE-ისა და Alstrom-ის სინდრომები და, უახლესი ამერიკული მონაცემების მიხედვით, დაუნის სინდრომიც);
- ორსულობის დროს მოქმედი სხვა ფაქტორები (მათ შორის, დედის მიერ გადატანილი დაავადებები, მაგ., ციტომეგალოვირუსი, წითურა, ტოქსოპლაზმოზი, აგრეთვე ალკოჰოლიზმი);
- პერინატალური ფაქტორები (ნაადრევი მომწიფება, მცირე წონა დაბადებისას, მშობიარობის გართულებები, ჰიპოქსია და ასფიქსია);
- დაბადებიდან მალევე განვითარებული ზოგადი დაავადებები (ენცეფალიტი, მენინგიტი).

ყრუ-უსინათლო პირთა რაოდენობა სტაბილურად იზრდება, რაც სამედიცინო პროგრესის შედეგია. ბევრ ბავშვს, რომელიც წლების წინ იღუპებოდა ან გადარჩენის ძალიან მცირე შანსი ჰქონდა (მათ შორის, ნაადრევად მომწიფებული ჩვილები, სერიოზული დეფექტებისა და დაავადების სინდრომის მქონე ბავშვები), დღეს სიცოცხლე უნარჩუნდება. შედეგად, სულ

უფრო მეტ ყრუ-უსინათლო ბავშვს აქვს სერიოზული თანმს-  
ლები დარღვევა.

## **შეძენილი ყრუსინათლობის მიზეზები**

შეძენილი ყრუსინათლობის ყველაზე გავრცელებული  
მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- შეძენილი ყრუსინათლობის გამომწვევი ფაქტორე-  
ბი სმენისა და მხედველობის დაზიანების სხვადასხვა  
ეტიოლოგიით – სმენა და მხედველობა ზიანდება და-  
მოუკიდებლად, სხვადასხვა ასაკში. ადამიანს შეიძლება  
ჰქონდეს ერთი შეგრძნების თანდაყოლილი დაზიანება  
და მოგვიანებით შეიძინოს მეორე ან ორივე შეგრძნე-  
ბა მოგვიანებით დაუზიანდეს. ასეთ შემთხვევაში, გვაქვს  
ორი სხვადასხვა ფაქტორი:
  - მხედველობის დაზიანების გამომწვევი მიზეზები;
  - სმენის დაზიანების გამომწვევი მიზეზები.
- შეძენილი ყრუსინათლობის ფაქტორები სმენისა და  
მხედველობის დაზიანების ერთნაირი ეტიოლოგიით - სმე-  
ნის და მხედველობის დარღვევა, რომლებიც ვლინდება  
ერთდროულად ან სხვადასხვა პერიოდში. ესენია:
  - მხედველობისა და სმენის ერთდროული დაზიანების  
გამომწვევი ფაქტორები (ამ შეგრძნებების ფუნქციონი-  
რების ერთდროული შემცირება);
  - ფიზიოლოგიური (ბუნებრივი) სმენისა და მხედველო-  
ბის ასაკთან დაკავშირებული დეგენერაციული ცვლი-  
ლებები, საერთო ეტიოლოგიით, რომელიც ჯერ კიდევ  
დაუდგენელია;
  - აშერის სინდრომი, რომლის დროსაც ერთი და იგი-  
ვე გენეტიკური ფაქტორი იწვევს სმენის და მხედვე-  
ლობის დაქვეითებას, ხოლო დაზიანების სიმპტომები  
სხვადასხვა დროს ვლინდება.

აღნიშნული ფაქტორები განხილულია ქვემოთ.

**შეძენილი ყრუსინათლობის გამომწვევი ფაქტორები სმენისა და მხედველობის დაზიანების სხვადასხვა ეტიოლოგიით:**

- მხედველობის დაზიანების მიზეზები:
  - გენეტიკური ფაქტორები: მემკვიდრეობითი კატარაქტა, მხედველობის ნერვის მემკვიდრეობითი ატროფია, მაღალი ხარისხის მემკვიდრეობითი მიოპია, მემკვიდრეობითი პიგმენტური რეტინიტი, მემკვიდრეობითი გლაუკომა;
  - მუცლადყოფნის პერიოდში დედის მიერ გადატანილი სხვადასხვა დაავადება (მაგ., ტოქსოპლაზმოზი, წითურა, სიფილისი);
  - პერინატალური ფაქტორები: ნაადრევი მშობიარობა, მცირე წონა დაბადებისას, ჰიპოქსია, ასფიქსია;
  - მოგვიანებით გამოვლენილი ფაქტორები: თვალის ასაკობრივი დაავადება<sup>5</sup>, (მაგ., გლაუკომა, რომლის გაჩენის ალბათობა ასაკთან ერთად მატულობს), კატარაქტა (ე.წ. ასაკობრივი კატარაქტის ჩათვლით), ბადურის გადაგვარება (ასაკთან დაკავშირებული მაკულარული დეგენერაციის ჩათვლით, AMD<sup>6</sup>), ზოგადი დაავადე-

---

<sup>5</sup> ტერმინი "ასაკთან დაკავშირებული თვალის დაავადებები" არ უნდა აგვერიოს "თვალის ფიზიოლოგიური ცვლილებების" ტერმინში. სიბერის ცვლილებები ბუნებრივია და მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, ისევე, როგორც სხეულის დაბერებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები. ასაკთან დაკავშირებული თვალის დაავადებები მედიცინაში პათოლოგიად ითვლება.

<sup>6</sup> მიმდინარეობს კვლევები უკვე ჩატარებული კვლევების შესამოწმებლად, რომელთა თანახმადაც, ბადურის ასაკობრივ დეგენერაციას და ასაკობრივ სმენადაქვეითებას, შესაძლოა, საერთო ეტიოლოგია ჰქონდეს.

ბები, რომლებიც იწვევს მხედველობის დაზიანებას, მაგ., დიაბეტი (II ტიპის ჩათვლით, რომელიც უფრო ხშირია ასაკში), ენცეფალიტი და მენინგიტი, ტვინის სიმსივნეები, თვალის სერიოზული დაზიანება და ტრავმები.

- სმენის დაქვეითების მიზეზები:
  - გენეტიკური ფაქტორები (მემკვიდრეობითი სიყრუე);
  - მუცლადყოფნის პერიოდში დედის მიერ გადატანილი სხვადასხვა დაავადება (მაგ., მწვავე ვირუსული ინფექციები), წამლები, ტოქსინები;
  - პერინატალური ფაქტორები: ნაადრევი მშობიარობა, მცირე წონა დაბადებისას, ჰიპოქსია, გახანგრძლივებული სიყვითლე, სეროლოგიური კონფლიქტი;
  - ფაქტორები, რომლებიც მოგვიანებით მოქმედებენ: ყურის დაავადებები (მაგ., ყურის მორეციდივე ინფექციები, ყურის კიბო), სხვა დაავადებები (მაგ., მენინგიტი, ტვინის სიმსივნეები, ნევროლოგიური დაავადებები), თავის დაზიანებები, ყურის აკუსტიკური დაზიანება (ძირითადად, ხმაურის გამო), ოტოტოქსიკური წამლები.

შეძენილი ყრუუსინათლობის ფაქტორები სმენისა და მხედველობის დაზიანების ერთნაირი ეტიოლოგიით:

- მხედველობისა და სმენის შემდგომი ერთდროული დაზიანების მიზეზები:
  - სერიოზული დაზიანებები და თავის ტრავმები (დაცემის, უბედური შემთხვევების შედეგად);
  - დაავადებები, მაგ., ტვინის სიმსივნეები.



- მხედველობისა და სმენის ფიზიოლოგიური სენილური დეგენერაციული ცვლილებების მიზეზები.

ასაკობრივი ცვლილებები ბუნებრივი პროცესების შედეგია, რომლებიც თანდათანობით იწვევს შეუქცევად ცვლილებებს ადამიანის მთელ სხეულში, მათ შორის, სმენისა და მხედველობის ორგანოებში. ითვლება, რომ მათი წყარო შეიძლება იყოს გენეტიკური მასალის დაზიანება და ორგანიზმისთვის მავნე თავისუფალი რადიკალების დაგროვება, აგრეთვე სხვა მიზეზები, რომლებიც ორგანიზმის დაბერების პროცესის საფუძველია. ისინი, ზოგჯერ, ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სერიოზულ სირთულეებს უქმნიან ხანდაზმულ ადამიანებს.

მხედველობის ორგანოს ასაკობრივი ცვლილებები, სხვათა შორის, აკომოდაციური ლინზების დამცავი უნარის შემცირებასაც განაპირობებს (ეს იწვევს ასაკობრივ ჰიპერპიას), ამცირებს მხედველობის არეალს (შედგებად, თვალი ძალიან ცოტა შუქს ატარებს) და მისი შეკუმშვა-გაფართოების უნარს (რაც იწვევს დარღვევებს ცვლადი განათებისა შეგუებისადმი), რქოვანას ზედაპირზე აჩენს პროგრესულ დარღვევებს (რაც იწვევს უსინათლობას), ბადურის ცვლილებს (პერიფერიული ველის შევიწროებას; 70-80 წლის ასაკში ის შეიძლება შემოიფარგლოს 20-30 გრადუსითაც კი) და ფერების აღქმის დაქვეითებას.

სმენის ორგანოს სენილური ცვლილებები არის ორმხრივი და ვრცელდება ყურის ყველა მონაკვეთზე, მაგრამ ფუნქციონირებაზე, როგორც წესი, ყველაზე დიდი გავლენა აქვს შიდა ყურში მიმდინარე ცვლილებებს, რომელსაც სმენის ასაკობრივ დაქვეითებასთან მიყვავართ (*დამახასიათებელია მაღალსიხშირული ბგერების აღქმის დაქვეითება*). სხვა ცვლი-

ღებები: ყურის გოგირდის მოცულობის ზრდა გარეთა ყურის სასმენ მილში (რაც იწვევს მის დაბლოკვას), დაფის აპკის ფიბროზი და შუა ყურის ძელებს შორის კავშირის დარღვევა. სამივე შემთხვევაში ვიღებთ კონდუქტიურ სმენის დაზიანებას – სმენის გამტარობის დაქვეითებას, რასაც ემატება ასაკობრივი სმენის დაქვეითება, ეს კი დამატებით ზემოქმედებს სმენის მდგომარეობაზე.

- აშერის სინდრომი

ამჟამად, აშერის სინდრომი ითვლება შექცეული ყრუ-უსინათლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. ეს დაავადება გვხვდება ყრუ-უსინათლო მოსახლეობის 50%-ში. გვხვდება თანდაყოლილი ყრუ ადამიანების 3-6%-ში (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სმენადაქვეითებულთა 3-6%-შიც) და რეტინიტის პიგმენტოზით დაავადებულთა 18-25%-ში (ლათ. Retinitis pigmentosa – RP). ახასიათებს ორმხრივი, ჩვეულებრივ სტაბილური, ნეიროსენსორული ტიპის სმენის დაზიანება მსუბუქიდან მძიმე ხარისხამდე, როგორც წესი, თანდაყოლილი და RP-ს ფონზე განვითარებული მხედველობის პრობლემები, რომლებიც ვლინდება სხვადასხვა ასაკში, დამოკიდებულია აშერის სინდრომის ტიპზე (I, II, III) და აქვს დამახასიათებელი მიმდინარეობა, თუმცა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ცვლილებებთან, აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დისბალანსთან და სხვა სიმპტომების არარსებობასთან. კვლევები ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ცოდნა საკითხის გარშემო მუდმივად იზრდება.

აშერის სინდრომის ტიპი	I ტიპი	II ტიპი	III ტიპი
გამოვლინების სისშირე	ვლინდება 100000 ადამიანიდან 4-ში	ყველაზე გავრცელებული ტიპი <sup>7</sup>	სპორადული ხასიათისაა, როგორც წესი, ვლინდება ფინეთის მოსახლეობაში
სმენის დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სმენის თანდაყოლილი, ორმხრივი, სტაბილური, მძიმე ხარისხის ნეიროსენსორული დაზიანება</li> <li>• მარცხენა კუთხის აუდიოგრამა</li> </ul>	<p>სმენის თანდაყოლილი, ორმხრივი, პროგრესირებადი ნეიროსენსორული დაზიანება, ძირითადად, ზომიერიდან მძიმემდე</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აუდიოგრამის ტიპური გარდნა (სმენის მსუბუქი დარღვევა დაბალ სისშირეზე, მაღალ სისშირეებზე – უფრო ძლიერი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სმენის ორმხრივი პროგრესირებადი ნეიროსენსორული დაზიანება, სმენა ქვეითდება სხვადასხვა ტემპით</li> <li>• აუდიოგრამა, თავდაპირველად, გამოიყურება II ტიპის მსგავსად, ასევე, ჰგავს I ტიპსაც, გარდა იმისა, რომ ის ქვეითდება და სწორდება მაღალ სისშირეებზე.</li> </ul>

<sup>7</sup> ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით, აშერის I ტიპით დაავადებულთა რაოდენობა სჭარბობდა, დღევანდელი მონაცემებით კი II ტიპი სჭარბობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდა აშერის სინდრომით დაავადებულთა რ-ბა, დაახლოებით, 100 000-ზე – 10 დაავადებული.

კომუნიკაცია	სმენადაქვეითებული ადამიანები, რომლებიც იყენებენ უსტურ ენას	მეტყველი სმენადაქვეითებული პირები რომლებიც იყენებენ სმენის აპარატებს	პირები, რომლებსაც ესმით, მეტყველებენ, მოგვიანებით კი იწყებენ სმენის აპარატის გამოყენებას
რეტინიტის პიგმენტოზის შედეგად დაზიანებული მხედველობა	ქათმის სიბრმავე ვლინდება ადრეულ ასაკში, ჩვილებშიც, ჩვეულებრივ, 10 წლის ასაკამდე; უფრო ხშირად აღინიშნება მხედველობის სიმახვილის მკვეთრი დაქვეითება 5-6 წლის ასაკში	პირველი სიმპტომები გვხვდება გვიან ბავშვობაში ან მოზარდობაში (ჩვეულებრივ, 10 წლის შემდეგ); ნაკლებად ხშირად, ის იწყებს მხედველობის მკვეთრ შემცირებას 5-6 წლის ასაკში	მხედველობის დარღვევა ძალიან განსხვავებული ტემპებით მიმდინარეობს ერთი ოჯახის წევრებშიც კი, რომელთაც აქვთ III ტიპის აშერის სინდრომი
წონასწორობა	ვითარდება სხვადასხვა დისბალანსი, შედეგად, შეფერხებულია მოტორიკის განვითარება (ბავშვები მხოლოდ 18 თვის შემდეგ იწყებენ დამოუკიდებლად სიარულს)	წონასწორობის შენარჩუნება	სხვადასხვა: ზოგჯერ წონასწორობის დარღვევების თავიდან არარსებობა, ზოგჯერ დაბადებიდან სუსტად გამოხატული, ზოგჯერ მოგვიანებით გამოვლენა

აშერის სინდრომის დროს რეტინიტის პიგმენტოზით გამოწვეული მხედველობის დაზიანების სიმპტომები:

- ბადურის პირველადი ცვლილებები, ამ დროს მისი პერიფერიული უჯრედების ნაწილი (პასუხისმგებელი სიბნელეში, გვერდებზე, ზემოთ, ქვემოთ დანახვაზე) იღუპება, შემჩნევა შეუძლებელია – ჩანს მხოლოდ ოფთალმოლოგიური გამოკვლევით.
- ბადურის პერიმეტრზე მკვდარი უჯრედების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ვლინდება სიბნელეში ხედვისა და ცვლად განათებასთან ადაპტაციის სირთულეები. ამის შემჩნევა პატარა ასაკშივეა შესაძლებელი, როცა სიბნელეში ბავშვს არ შეუძლია მიაგნოს სათამაშოს, შევიდეს ოთახში, იპოვოს სკამი.
- ბადურის უჯრედების სიკვდილის პროგრესირება იწვევს მხედველობის არეში დეფექტების გაჩენას. ისინი თანდათანობით ვიწროვდება შიდა მხრისკენ – ჩნდება გვერდზე, ქვევით, ზევით დანახვის პრობლემები.
- უჯრედების მუდმივი კვლემა, თანდათანობით, იწვევს მხედველობის არეალის ისეთ ძლიერ შევიწროვებას, რომ მცირემხედველი პირი კარგად ხედავს მხოლოდ ბადურის ცენტრალური ნაწილის წინ, რაც დღის განმავლობაში ხედვის, ასევე, ფერებისა და დეტალების დანახვის საშუალებას იძლევა. ამ ეტაპზე ყალიბდება ე.წ. გვირაბისებური ხედვის ველი (მაგალითად, როგორც გასაღების ჭუჭრუტანაში გახედვა) და უფრო სრულყოფილი სურათის მისაღებად აუცილებელი ხდება თავის ზედმეტად ამოძრავება.
- ხშირად, ბადურის ცენტრალური ნაწილის უჯრედები ასაკთან ერთად კვდება, რაც იწვევს ცენტრალური მხედველობის გაუარესებას ან დაკარგვას. რეტინიტის

პიგმენტოზას ამ ბოლო ეტაპზე ზოგჯერ კატარაქტა ვლინდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური მხედველობის მნიშვნელოვანი გაუარესება ან დაკარგვა.

მხედველობის პრობლემებს, როგორც წესი, ამჩნევენ და დიაგნოზს უსვამენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი უკვე კარგად განვითარებულია (ადრეულ სტადიაზე ინფორმაციას თავის ტვინი ეფექტიანად ავსებს). ასეთ პირებს ახასიათებთ შემხვედრი ადამიანების, საგნების ვერ შემჩნევა, მათ შორის, უჭირთ უესტების ამოცნობა უესტური ენით საუბრისას, მოძრავი ობიექტების ამოცნობა, გუნდურ თამაშებში მონაწილეობა. დაზიანებული წონასწორობის მქონე ადამიანებში აქტუალურია მისი შენარჩუნების პრობლემები. ყოველივე ამის გამო, აშერის სინდრომის მქონე ადამიანი მოუხერხებლის, მოუწესრიგებლის ან მთვრალის შთაბეჭდილებას ტოვებს. აშერის სინდრომის დროს სიმპტომების წამალი არ არსებობს, იმედები დაკავშირებულია ამ სინდრომის ადრეულ გამოვლინებასთან და მომავალში – გენურ თერაპიასთან. კვლევები ამ სფეროში გრძელდება.

აშერის სინდრომი არის გენეტიკური და მისი მემკვიდრეობა სქესთან კავშირში არ არის. იმისათვის, რომ ადამიანს აშერის სინდრომი აღმოაჩნდეს, თითოეულმა მშობელმა უნდა გადასცეს არასწორი გენი. იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს მხოლოდ ერთი გენი გადაეცემა, ის იქნება აშერის სინდრომის მატარებელი და შეეძლება მისი გადაცემა შემდგომი თაობებისთვის.

### 3. სმენისა და მხედველობის დარღვევების თანმხლები შედეგები

მხედველობა უზრუნველყოფს ინფორმაციის 80%-ის მიღებას, ხოლო სმენა – 10%-ზე მეტს. ორივე გრძნობა შორიდან აღიქვამს ინფორმაციას, ამიტომ მათ ე.წ. დისტანციურ შეგრძნებებსაც უწოდებენ. უფრო მეტიც, ისინი უნებური სტიმულატორები არიან.

სმენისა და მხედველობის ორგანოების თანმხლები დაზიანებები ამცირებს ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი „გადატვირთულია“ შემომავალი ინფორმაციით. ეს ამრავალფეროვნებს ცოდნას სამყაროს შესახებ, ხელს უწყობს სხვადასხვა სიტუაციებში საქმიანობას, გარკვეულ გარემოებებთან ადაპტირებას, ორიენტაციის უნარს. იგი უზრუნველყოფს გარემოზე კონტროლსა და, უსაფრთხოების შეგრძნებას და სულიერ კომფორტს. ინფორმაცია აღიქმება ორივე გრძნობით. სრული ყრუუსინათლობის შემთხვევაში სამყარო შეზღუდულია. ამასთან, ყრუუსინათლობის შედეგები არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, სმენისა და მხედველობის მარტივი დაზიანება. დაქვეითებული სმენის მქონე პირებს ინფორმაციის მიღებაში მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს დაუზიანებელი მხედველობა. მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანი ინფორმაციას დაუზიანებელი სმენის ორგანოს მეშვეობით იღებს. როდესაც ამ შეგრძნებათა ერთდროულ დაზიანებასთან გვაქვს საქმე, ეს შეუძლებელი ხდება, ორივე ტიპის ერთდროული დარღვევისას მიღებული ინფორმაცია გარკვეულწილად არასწორი, დამახინჯებული ანაც – მიუწვდომელია.

**ყრუუსინათლობა ≠ სმენის დაზიანება + მხედველობის დაზიანება** – ეს არის ორივე გრძნობის დარღვევის თანმხლები შედეგი, რაც იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის კიდევ ერთ სპეციფიკურ ტიპს. თუ პალიტრაზე ყვითელსა და ცისფერს შევურევთ, მივიღებთ ახალ ფერს - მწვანეს. თუ ვინმეს ჰკითხავთ, ეს რა ფერია, ის გიპასუხებთ, „მწვანე“ და არა, „ყვითელი და ლურჯი“. შეიძლება ითქვას ყრუ-უსინათლობაზე, ის წარმოადგენს განსხვავებულ შეზღუდულ შესაძლებლობას, სმენის და მხედველობის დარღვევის განსაკუთრებულ კომბინაციას.



**ყრუუსინათლობა ≠ სმენის დაზიანება + მხედველობის დაზიანება**

განსაკუთრებით სერიოზულია თანდაყოლილი ან დაბადებიდან მცირე ხნის შემდეგ განვითარებული ყრუუსინათლობის შედეგები ბავშვებში. მიზნობრივი, სპეციალიზებული დახმარების გარეშე, რომელიც გულისხმობს განვითარების ხელშეწყობის სპეციფიკური მეთოდების გამოყენებას, მათ არ შეუძლიათ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოვლენა. ძალზე მნიშვნელოვანია მხედველობის და სმენის დაზიანების დროული დიაგნოსტიკა, სხვადასხვა სპეციალისტების ჩარევა, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და ბავშვის აღჭურვა მის საჭიროებებზე მორგებული საშუალებებით, მაგალითად, სათვალთ, სმენის აპარატით და/ან იმპლანტით. შექნილი ყრუუსინათლობა დაზარალებულ ადამიანს უკიდურესად რთულ ვითარებაში აყენებს და უზარმაზარ ცვლილებებს იწვევს მის ფუნქციონირებაში. ორივე დისტანციური გრძნობის დაქვეითება ზრდის იმ გრძნობების გამოყენების აუცილებლობას, რომლებიც სტიმულს იღებენ გაცი-



ლებით მცირე მანძილიდან (სუნი) ან თუნდაც, წყაროსთან უშუალო კონტაქტით (შეხებით, გემოთი) და იმ გრძნობებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოწოდებას სხეულიდან (კინესთეტიკური, პროპრიოცეფციული სისტემა). რაც უფრო ღიძია სმენისა და მხედველობის დაზიანება, მით უფრო მეტად იყენებენ სხვა გრძნობებს, მათ შორის, განსაკუთრებული როლი უჭირავს შეხებას. ზოგისთვის ის ხდება სამყაროს შესწავლის მთავარი წყარო. ბევრისთვის, სხვადასხვა შეგრძნებების გამოყენების ხარისხი (მათ შორის, სმენა-მხედველობის, თუ ასეთი შესაძლებლობები გააჩნიათ) დამატებით დამოკიდებულია იმ გარემო ფაქტორებსა და მათი საქმიანობის ტიპებზე. კლასიკური მაგალითია აშერის სინდრომის მქონე ყრუ-უსინათლოთა მოსახლეობის ნახევარი, რომელთაც აქვთ მხედველობის ვიწრო დიაპაზონი როგორც წესი, თავიდან კარგი მხედველობით. შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის ტიპისა და გარემო პირობების შესაბამისად, ისინი ერთდროულად ფუნქციონირებენ მინიმუმ სამ დონეზე – იყენებენ ტექნიკებს, რომლებიც ტიპურია კარგი მხედველობის მქონეთათვის ან მცირემხედველთათვის და უსინათლო ადამიანებისთვის დამახასიათებელ მოდიფიცირებულ ტექნიკებს.

## **აშერის სინდრომის მქონე პირის ტიპური ფუნქციონირება**

ისეთი მოქმედებების შესრულებისას, რომლებიც **საჭიროებენ ახლოს და პირდაპირ ყურებას**, მაგალითად, ჭამის დროს, კითხვის ან რაღაცის შეკეთების დროს, აშერის სინდრომის მქონე პირებს შეუძლიათ მხედველობის გამოყენება შორიდან დაკვირვებისას. შეიძლება ითქვას, რომ ისინი საქმიანობენ ჩვეულებრივად, მხედველობადაუზიანებელი პირების მსგავსად.

ურთიერთობისას ისინი საჭიროებენ ადაპტაციას თანამოსაუბრისა და გარემოსგან, მხედველობადაზიანებულ ადამიანების მსგავსად. შევიწროებული თვალსაწიერის შემთხვევაში, ქესტების აღსაქმელად მათ სჭირდებათ თანამოსაუბრესთან მეტი დისტანცია. ასევე, მნიშვნელოვანია საუბრის ადგილზე სათანადო განათების უზრუნველყოფა და სწორი განლაგება (ეს, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, ვინც კითხულობს ბაგეებიდან): თანამოსაუბრე ფანჯრის წინ უნდა იდგეს ისე, რომ შუქი კარგად ეცემოდეს, აშერის სინდრომის მქონე პირი კი ფანჯარასთან ზურგით უნდა დადგეს. მზის მძლავრ შუქზე დაგეხმარებათ ქალუხები. პირებისთვის, რომლებიც კომუნიკაციისთვის იყენებენ სმენას, მნიშვნელოვანია შესაბამისი აკუსტიკური პირობები ზედმეტი ბგერების თავიდან ასაცილებლად.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშერის სინდრომის მქონე ადამიანები **დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ** სულ სხვანაირად. გვირაბისებური ხედვის ველით ისინი ვერ ხედავან, თუ რა ხდება გვერდით (ხალხი, დაბრკოლებები) და ასევე, ძირს, ფეხქვეშ (ბორდიურები, საფარის არათანაბარი ფილები, კიბეები). ამიტომ, უსაფრთხოდ და სწრაფად მოძრაობისთვის, მათ, უსინათლო ადამიანების მსგავსად, უნდა გამოიყენონ ნორმალური მხედველობის მქონე მეგზური ან თეთრი ჯოხი<sup>8</sup>, ასევე მოძრაობის შესაბამისი ტექნიკა. თუმცა, იმის გამო, რომ მათ აქვთ სმენის ძლიერი დარღვევები, ასევე დისბალანსი, იყენებენ ამ მეთოდების სხვადასხვა მოდიფიკაციებს. მაგალითად, ისინი ძლიერად უკაკუნებენ

---

<sup>8</sup> - ზოგიერთ ქვეყანაში ყრუ-უსინათლო პირთა თეთრი ჯოხები ინიშნება ორი წითელი ამრეკლავი ზოლით, რათა მძღოლებმა გაითვალისწინონ, რომ ნიშნულიან ადამიანს ერთდროულად აქვს სმენისა და მხედველობის პრობლემები.

ჯოხს მიწას, მის შესახებ ძლიერი ვიბრაციებით ინფორმაციის მისაღებად (რბილი/მყარი) ან ჯოხის მიწაზე გაცურებით იღებენ ინფორმაციას ზედაპირის ტექსტურის შესახებ (გლუვი/უსწორმასწორო). ეს მოდიფიკაციები უზრუნველყოფს ძლიერი ტაქტილური და ვიბრაციული სტიმულატორების მიღებას, აგრეთვე ჯოხის მუდმივ კონტაქტს მიწასთან. აშერის სინდრომის მქონე ბევრ ადამიანთან გვხვდება წონასწორობის სერიოზული დარღვევები, რაც გადაადგილების გაძნელების მიზეზია და რთულდება მხედველობის დიაპაზონის შევიწროების, სიმახვილის შემცირების ან განათების შემცირების (მაგალითად, ბინდისას, როცა მხედველობითი კონტროლი მცირდება ან შეუძლებელი ხდება) შესაბამისად. ისინი, ასევე, იძულებულები ხდებიან შეცვალონ თეთრი ჯოხის ტექნიკა, მაგალითად, აღნიშნული პირები კიბეებზე ჩამოსასვლელად ცალკეულ საფეხურებზე წონასწორობის შესანარჩუნებლად ეყრდნობიან ჯოხს. მოაჯირები მათთვის ძალიან სასარგებლოა, მათ გარეშე ზოგიერთი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად კიბით სარგებლობას. ბევრი ადამიანი ირჩევს მეგზურის დახმარებას, რადგან ზოგიერთი ამოცანა, მაგალითად, გზის გადაკვეთა, განსაკუთრებით ბინდში, საგრძნობლად რთულია მათთვის. ასეთ ვითარებაში, უსინათლო ან მხედველობადაქვეითებულ პირს შეუძლია დაეყრდნოს სმენით ინფორმაციას გზებზე საცობების, მათი ზრდისა და შემცირების, მანქანების შეფერხებების, მომავალი ან მიმავალი მანქანის მიმართულების შესახებ. აშერის სინდრომის მქონე ბევრი ადამიანი (ისევე, როგორც სხვა ყრუ-უსინათლო პირები), მიუხედავად იმისა, აქვს სმენის გარკვეული შესაძლებლობები თუ არა, ვერ შეძლებს სრულად დაეყრდნოს ქუჩის ხმაურს, ხშირად უჭირს შექნიშნის ხმის მოსმენა, ხმის წყაროს წარმომავლობის დადგენა და სწორი ინტერპრეტაცია. კიდევ უფრო რთულად აქვთ საქმე

აშერის სინდრომის მქონე პირებს, რომლებსაც სმენაც და კარგული აქვთ. მათ არ შეუძლიათ ქუჩის სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღება მოსმენის გზით. მიუხედავად იმისა, რომ დღის განმავლობაში მათ შეუძლიათ გამოიყენონ შეზღუდული მხედველობითი შესაძლებლობები, საღამოს ბინდში ისინი ვერ ხედავენ, ამიტომ, ასეთ დროს, ისინი ფუნქციონირებენ, როგორც სრულიად ყრუ-უსინათლო ადამიანები. ასეთი პირებისთვის ქუჩის ან გზაჯვარედინის გადაკვეთა დამოუკიდებლად შეიძლება ძალიან საშიში ან შეუძლებელი იყოს.

ყრუ-უსინათლოთა ასეთ მრავალფეროვან ფუნქციონირებას ხშირად შეცდომაში შეჰყავს ირგვლივ მყოფები, რომლებიც, ერთ სიტუაციაში მათ აღიქვამენ უსინათლოებად, რადგან თეთრი ჯოხით გადაადგილდებიან, ხოლო მეორე სიტუაციაში – მხედველობის მქონეებად, რადგან, მაგალითად, ტრამვაიში მსხდომთ ცალ ხელში უჭირავთ დაკეცილი თეთრი ჯოხი და მეორეში – მცირე ზომის დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც ადვილად კითხულობენ. ამან შეიძლება გარშემომყოფთა ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები გამოიწვიოს.

#### **4. როგორ დაეძლიოთ ყრუუსინათლობის შედეგები**

სივრცეში ორიენტაცია და გადაადგილება, კომუნიკაცია და (ფართო გაგებით) ინფორმაციის წვდომასთან ერთად, წარმოადგენს სამი ძირითადი სფეროდან ერთ-ერთს, რომელშიც ყრუ-უსინათლო პირები აწყდებიან ყველაზე მეტ სირთულეებს ფუნქციონირების დროს. სინამდვილეში, ყრუუსინათლობა უარყოფითად მოქმედებს ყველა სახის საქმიანობაზე, მათ შორის, ყოველდღიურ და პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვაზე.

ყრუ-უსინათლო ხალხს უჭირს ორიენტაცია უცნობ ადგილებში, ტრანსპორტის კარის, ხმის წყაროს პოვნა. მარშრუტების გარკვევისას ისინი უფრო მეტად უნდა დაეყრდნონ ტაქტილურ და ყნოსვით სტიმულებს, ასევე, საკუთარ მეხსიერებასა და ლოგიკას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სიტუაციაში გამოსავალი შეიძლება იყოს შემთხვევითი პირის დახმარების გამოყენება, პრობლემაა მათი შემჩნევა და ხშირად დახმარების თხოვნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყრუ-უსინათლო პირი მხოლოდ ქესტურ ენას იყენებს.

ინფორმაციის გადაცემისას, შექმნილი ყრუუსინათლობის მქონე ადამიანების უმეტესობა იყენებს კომუნიკაციის ადრე ათვისებულ მეთოდებს. მათთვის უფრო სერიოზულ პრობლემას შეტყობინებების მიღება წარმოადგენს. მეთოდების არჩევანი დამოკიდებულია იმ გარემოზე, საიდანაც მოდის ადამიანი – სხვა შესაძლებლობები აქვთ ყრუთა კულტურაში გაზრდილ ადამიანებს და ადამიანებს, რომლებიც კომუნიკაციისთვის სასაუბრო ენას იყენებდნენ. თუ პირი ქესტური ენით მოსარგებლე იყო, ინფორმაციის გადაცემისას კვლავ შეუძლიათ კომუნიკაციის ამ ფორმის გამოყენება, მაგრამ ინფორმაციის მიღება უნდა მოხდეს შეხებით (მიმღები ხელებს ადებს გამცემს ხელებზე). ადამიანებს, რომლებიც ადრე მეტყველებდნენ, შეუძლიათ გამოიყენონ აღნიშნული ფორმის ურთიერთობა, მაგრამ ინფორმაციის მიღება, ზეპირი ფორმით, შესაბამისი დახმარების გარეშე, მათთვის შეუძლებელია. თუმცა, ზოგჯერ სმენის აპარატის საშუალებითაც კი რთულია მათთვის საუბრის გაგება. ეს დამოკიდებულია ოთახის აკუსტიკაზე, დამატებით ბგერებზე, ასევე იმაზე, ხმოვან ინფორმაციას თან ერთვის თუ არა მხარდაჭერა ბაგეებიდან კითხვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თუ რა პირობებში მიმდინარეობს საუბარი. ხანდახან ბევრი რა-

მის შეცვლა შესაძლებელი ტელევიზორის ან რადიოს გამორთვით და განათების სათანადოდ უზრუნველყოფით.

სმენის და მხედველობის ერთდროული დაზიანება მნიშვნელოვნად ზღუდავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასაც. სმენის და მხედველობის დარღვევისას საკმაოდ პრობლემური ხდება დოკუმენტების, წიგნების, წერილების, რადიო ან სატელევიზიო მაუწყებლობის მეშვეობით ინფორმაციის მიღება.

## **მხედველობის და სმენის დამხმარე მოწყობილობები**

ამჟამად, ყრუ-უსინათლო ადამიანებს აქვთ ოპტიკური მოწყობილობები, რომელიც აადვილებს წერილობითი ტექსტის აღქმას (კითხვა და წერა), მათ შორის, სხვადასხვა ტიპის სათვალეები (მაკორექტირებელი, გამადიდებელი შუშა, ბინოკლები, მზის ფილტრით), ლუპები (მაგალითად, ჩვეულებრივი, განათებით, პორტატული, მაგიდაზე დამონტაჟებული, ძალიან ძლიერი ელექტრონული ლუპები), ტელევიზიის გამადიდებლები, რომლებიც (მიერთებულია ტელევიზორთან ან მონიტორთან) შრიფტის და ფონის რეგულირების (კონტრასტი) საშუალებას იძლევა. არსებობს უსინათლოებისთვის ბეჭდური ტექსტის და ბრაილის წამკითხველი მოწყობილობები (მაგ., Autolektor, Multilektor), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ყრუ-უსინათლო პირისთვის, რომელიც ვერ ხედავს, მაგრამ შეუძლია წერილობითი ტექსტის გაგება სმენით. ასევე, სმენის დამხმარე საშუალებები სმენის დაზიანების სხვადასხვა ხარისხისა და ტიპისთვის, რომლებითაც სარგებლობს მრავალი ყრუ-უსინათლო ადამიანი.

სმენის იმპლანტები (კოხლეარული და ძვლოვანი გამტარობის) ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა მათთვის, ვი-



ფოტოების ავტორი: აგნეშკა უიელონკა

საც ჩვეულებრივი სმენის აპარატები ვერ ეხმარება. FM-სისტემა, ინდუქციური მარყუევების მსგავსად (სტაციონარული ან პორტატული), უზრუნველყოფს ბგერის გადაცემას პირდაპირ მოწყობილობისთვის და ხელს უწყობს ხმაურიან გარემოში ან დისტანციაზე მეტყველების გაგებას. თანამედროვე ციფრული აპარატები (მათ შორის, ხმის გადამცემი აპარატები, რომლებსაც ხმის სხვადასხვა სიხშირეზე აქვთ ტრანსლაცია) პარამეტრების ზუსტი რეგულირების საშუალებას იძლევა, მომხმარებლის სმენის დაქვეითების ხარისხის შესაბამისად.

კომპიუტერული პროგრამები და აპარატურა, რომლებიც ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლების საჭიროებებზე – მეტყველების სინთეზატორები და ეკრანიდან წამკითხველი, გამადიდებელი პროგრამები, დიდი მონიტორები, ბრაილის სახაზავები, ადვილად გასარკვევი ეტიკეტების მქონე კომპიუტერების კლავიატურები - ერთდროულად სმენა-მხედველობის დარღვევების მქონე პირებს ინტერნეტით ინფორმაციასთან წვდომის საშუალებას აძლევს. ისინი ასევე ხელს უწყობს იზოლაციის ბარიერის გადალახვას და ურთიერთობის გაადვილებას (ელექტრონული ფოსტის საშუალებით). კომუნიკატორები და მობილური ტელეფონები გაფართოებული დილაკებითა და ხმამაღალი რეჟიმით ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს.

## **ყოველდღიური საქმიანობები**

ყოველდღიური, ერთი შეხედვით, მარტივი საქმიანობები მაგ.: წყლის ჭურჭელში ჩასხმა, ნემსში ძაფის გაყრა, საჭირო დროს გამოღვიძება, ტანსაცმლის დახარისხება, ტემპერატურის, არტერიული წნევის ან სისხლში შაქრის დონის გაზომვა, – ძალიან რთულია ან, ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელია.



ლი ყრუ-უსინათლო პირებისთვის. თუმცა, აქაც ტექნოლოგია გვეხმარება. ისეთი დამხმარე საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა ბრაილის ციფერბლატიანი მოლაპარაკე საათები, ვიბრაციული მაღვიძარები, ბრაილის ქრონომეტრები, ხმის დონის და/ან ვიბრაციული სითხეების ინდიკატორები, ხმოვანი შკალები, თერმომეტრები, არტერიული წნევის გასაზომი აპარატები ან გლუკომეტრები, გადიდებულციფრებიანი კალკულატორები და ბრაილის ნემსები შესაკერად და ნემსში ძაფის გასაყრელი, მონეტების დასახარისხებელი, ფერადი დეტექტორები ან სიგნალიზაციის სისტემები (ვიბრაციული და სინათლის), რომლებიც აცნობებენ ირგვლივ მომხდარ მოვლენებს (მაგ.: კარის ზარი, ტელეფონის ზარი, ბავშვის ტირილი), ერთდროულად სმენის და მხედველობის დარღვევების მქონე პირებს შეუძლიათ დამოუკიდებლად საქმიანობა.

მათთვის, ვისაც სურს აქტიურად გაატაროს დრო, სპეციალური ადაპტირებული თამაშებია ხელმისაწვდომი. ყრუ-უსინათლო პირები ხშირად იყენებენ მცირემხედველი, აგრეთვე, სმენადაქვეითებული პირებისთვის განკუთვნილ მოწყობილობებს.



ფოტოების ავტორი: აგნეშკა კიელონკა

ამასთან, ერთი რომელიმე შეგრძნების მქონე (მხედველობა ან სმენა) პირებისთვის შექმნილი მოწყობილობების გამოყენება, დიდ ძალისხმევას მოითხოვს ორივე შეგრძნების დარღვევის მქონე ადამიანებისგან, რადგან ისინი ყოველთვის არ აკმაყოფილებენ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს, რაც გამოწვეულია შეგრძნებების ურთიერთკომპენსაციის უნარის შეზღუდვით.

## **რეაბილიტაცია**

სათანადო მოწყობილობებით აღჭურვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყრუუსინათლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევაში. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ან ჯგუფური რეაბილიტაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

რეაბილიტაციის ფარგლებში, ყრუუსინათლო ადამიანები სწავლობენ, თუ როგორ გამოიყენონ სწორად და ოპტიმალურად სხვადასხვა სახის მოწყობილობები. ისინი სწავლობენ, თუ როგორ გაიუმჯობესონ მხედველობითი და/ან სმენითი შესაძლებლობები ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და მათ გარეშე, ითვისებენ გარემომცველი სამყაროს შეცნობის მეთოდებს, მეგზურთან ერთად და დამოუკიდებლად, თეთრი ჯოხის მეშვეობით გადაადგილების ტექნიკებს, კონკრეტულ ადამიანზე მორგებულ კომუნიკაციის მეთოდებს. ერთ სფეროში ფუნქციონირების ეფექტურობის გაუმჯობესებით, ისინი უკეთესად უმკლავდებიან ყრუუსინათლობის სხვა შედეგებს.

## **თარჯიმან-მეგზური**

რეაბილიტაცია და აღჭურვილობა ზრდის ყრუუსინათლო პირის დამოუკიდებლობის ხარისხს, თუმცა ზოგჯერ ეს საკმარისი არ არის. განსაკუთრებით მისთვის ახალ, უცნობ

სიტუაციებსა და ადგილებში ყრუ-უსინათლოებთან ურთიერთობისა და პრობლემების არმცოდნე ადამიანებთან შეხვედრა გარდაუვალია. მაგ., ვიზიტი ექიმთან, ოფისში, სუპერმარკეტებში, სამკურნალო-სარეაბილიტაციო სანატორიუმებში, ვარჯიშებზე, ლექციებზე, კონფერენციებზე. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ყრუ-უსინათლო პირებს დამატებითი დახმარება დასჭირდეთ. მაგ., ისარგებლონ თარჯიმან-მეგზურის მომსახურებით, ასე მათ ექნებათ საშუალება ეურთიერთონ პროფესიონალს, რომელიც ფლობს ყრუ-უსინათლო პირებთან კომუნიკაციისა და მათი მეგზურობისთვის საჭირო სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს. თარჯიმან-მეგზურის დახმარებით ყრუ-უსინათლო ადამიანს შეუძლია მივიდეს მისთვის სასურველ ადგილას და დაამყაროს კომუნიკაციის მისთვის სასურველ ადამიანებთან.

## ოჯახი და გარემო

იმაზე საუბრისას, თუ როგორ ფუნქციონირებენ ყრუ-უსინათლო პირები, რა ახდენს გავლენას მათი დამოუკიდებლობის ხარისზე, რა უადვილებს მათ იმ საქმიანობების განხორციელებას, რაზეც ყრუუსინათლობა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს, შეუძლებელია ოჯახის როლის უგულებელყოფა. ოჯახს შეუძლია დაეხმაროს ყრუ-უსინათლო პირს განვითარებაში, უნარ-ჩვევების შექმნასა და სიძნელეებთან გამკლავებაში. მას, ასევე, შეუძლია მარგინალიზება, იზოლირება, საკუთარი თავის რწმენის ჩახშობა, გამოწვევებზე უარის თქმა არგუმენტით: „ეს ძალიან რთულია, ძალიან საშიშია“. მას შეუძლია (თუმცა, ჩვეულებრივ, გაუცნობიერებლად) პირი გახადოს მოუხერხებელი/მოუქნელი ცვლილებების მიმართ და წარმოქმნას მეორადი შეზღუდული შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ყრუ-უსინათლოთა შორის გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც

მთელი დღის განმავლობაში სხედან სახლში, მოწყვეტილნი არიან ცხოვრებას, თითქოს მათ არ გააჩნიათ საჭიროებები. გეხვედებიან სტუდენტები, რომლებსაც არ შეუძლიათ სუფრაზე ჭურჭლის შესაბამისად გამოყენება. როგორც ვხედავთ, არამართო აღჭურვილობას, არამედ „ადამიანურ ფაქტორსაც“ აშკარა გაგვჩვენა აქვს ყრუ-უსინათლოთა მდგომარეობის შეცვლაზე. ამ კონტექსტში, გარემოს მორგებაც მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისადმი (მათ შორის, ყრუ-უსინათლოების) მაგ., გაჩერებების, კიბეების შესაბამისი მარკირებით.

### **არის თუ არა ყრუ-უსინათლო პირისთვის ნორმალური ცხოვრება შესაძლებელი?**

ბევრი ადამიანისთვის ეს სირთულეს წარმოადგენს, ზოგიერთისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია, ზოგიც, უამრავი პრობლემის მიუხედავად, შესაბამისი მომსახურებების, ადაპტირებული გარემოსა და ტექნოლოგიის გამოყენების წყალობით, ასევე ოჯახისა და უშუალო გარემოსგან მხარდაჭერით (აქვე შეიძლება იღბალიც ვახსენოთ) ახერხებს სრულფასოვან, დამოუკიდებელი ცხოვრებას და მისით კმაყოფილებას.

## ადამიანისთვის ყველაზე მძიმე ტანჯვა სხვებთან ურთიერთობის შეუძლებლობაა ნიკოლოზ გოგოლი

ყრუუსინათლობის განმარტება იმდენად ზოგადია, რომ ის მოიცავს როგორც თანდაყოლილი ყრუუსინათლობის მქონე ადამიანებს, რომლებიც მუდმივ დახმარებასა და ზრუნვას საჭიროებენ (ეს არის ყველაზე პატარა ჯგუფი), ისე მხედველობისა და სმენის დარღვევების მქონე სრულად დამოუკიდებელ პირებს (ეს ყველაზე დიდი ჯგუფია). მთავარი პრობლემა, რომელიც ყველა ყრუ-უსინათლო პირს აკავშირებს, არის გარემოსთან ურთიერთობის სირთულეები, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი.

### 1. ყრუ უსინათლოთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ჩემი თანამოსაუბრე?

ურთიერთობის მეთოდების ძიებაში პრაქტიკული მიდგომის გამოყენება ყრუ-უსინათლოთა სამ ჯგუფად (საზოგადოებად) გამიჯვნის საშუალებას იძლევა:

1. ყრუ-უსინათლო პირების საზოგადოება, ვისთვისაც საერთოერთოდ პირველი, ძირითადი ენა არის სალიტერატურო ენა, თავისი გრამატიკული წესებით, ბრუნვებით, უღლებით და ა.შ. ესენი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებსაც ხმა ესმით სასმენი აპარატებით, ადრე ჰქონდათ სმენა, მაგრამ შემდგომ დაკარგეს, მათ შორის: უსინათლოები, ასევე თანდაყოლილი ყრუ-უსინათლო პირები, რომლებიც ბავშვიდან კითხულობენ.

2. ყრუ-უსინათლო პირების საზოგადოება, რომლისთვისაც უესტური ენა არის კომუნიკაციის პირველი და ძირითადი ენა. ისინი თანდაყოლილი ან ადრეული ბავშვობიდან ყრუ და სმენადაქვეითებული პირები არიან, კულტურულად მჭიდრო კავშირი აქვთ ყრუთა საზოგადოებასთან და მასთან თვითიდენტიფიცირდებიან.
3. ყრუ-უსინათლო პირთა საზოგადოება, რომელშიც, სხვადასხვა გარემოებების შედეგად, ურთიერთობა ვითარდება ნელა, დისპარმონიულად, სპეციფიკური ფორმით. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ვერ აითვისეს ვერც სალაპარაკო და ვერც უესტური ენა. ისინი ხშირად მოითხოვენ ურთიერთობის სხვა მეთოდების გამოყენებას. ამ ჯგუფში შედიან როგორც ბავშვები, ასევე მოზრდილები. ისინი, როგორც წესი, ყრუ-უსინათლო პირები არიან დაბადებიდან ან ადრეული ბავშვობიდან, უფრო ხშირად დამატებითი შეზღუდვების მქონე პირები, როგორცაა ღრმა გონებრივი ჩამორჩენა, აუტიზმი ან ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.

## იგი არ ფლობს არცერთ ენას

ყრუუსინათლობის შემთხვევაში, არ არსებობს მარტივი და პირდაპირი პასუხები ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით. ყველაზე რთული მდგომარეობაა, როცა ყრუუსინათლობა თანდაყოლილია. ისინი თავიდანვე მოკლებულნი არიან სმენითი და მხედველობითი სტიმულების სწორად მიღების შესაძლებლობას, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ადრეულ ფსიქოფიზიკურ და სოციალურ განვითარებაში. ამასთან, რადგან გარემოსთან ურთიერთობა აუცილებელია თითოეული ადამიანისთვის, ყრუ-უსინათლო ბავშვებიც გასცემენ და იღებენ ინფორმაციას, საკუთარი

შესაძლებლობების შესაბამისად. ჟესტების სკალა მრავალფეროვანია, ის შეიცავს უკმაყოფილების მიმიკებსაც და აბსტრაქტულ მნიშვნელობებსაც. სამწუხაროდ, მხედველობის და სმენის სერიოზული დარღვევების მქონე ყველა ბავშვი ვერ ახერხებს მარტივი სიგნალებიდან ურთიერთობის სიმბოლურ ფორმებზე გადასვლას, რომლის დროსაც ინფორმაციისა და აზრების გაცვლა ხდება. საბედნიეროდ, არა მხოლოდ ყრუ-უსინათლობა, არამედ სხვა ფაქტორებიცაა პასუხისმგებელი მაღალი დონის საკომუნიკაციო უნარების ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, თანდაყოლილი ან ადრეულ ასაკში შექნილი ყრუ-უსინათლობის შემთხვევებისას ენის მაღალ დონეზე ათვისების პროცესი ხანგრძლივი და რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი.

## **ჟესტური ენის მომხმარებლები**

ყრუ-უსინათლო პირთა ჯგუფში ბევრია დაბადებიდან ყრუ. ყველაზე ხშირად, მათი ურთიერთობის ძირითადი და ბუნებრივი საშუალება ჟესტური ენაა. მოგვიანებით, როცა, მიზეზთა გამო, ისინი კარგავენ მხედველობას, შეუძლიათ შეინარჩუნონ ინფორმაციის გაცემის ჩვეული მეთოდი, ინფორმაციის მიღების ვიზუალური მეთოდი კი იცვლება შეხებით. ისინი უნდა შეეგუონ ინფორმაციის მიღების განსხვავებულ გზას, რომლის დროსაც ყრუ-უსინათლო ხელებით მუდმივად ეხება თანამოსაუბრის ხელებს და აკონტროლებს იმ სივრცეს, რომელშიც სრულდება ჟესტები. ამასთან, როდესაც ყრუ-უსინათლო პირს აღარ შეუძლია ბაგებიდან ინფორმაციის წაკითხვა, სახის მიმიკების ან დამატებითი სიგნალების ინტერპრეტაცია, ჟესტური ენით საუბრისას შესებით მიღებული ინფორმაცია ხშირად ბუნდოვანი და არაზუსტია. ეს, ძირითადად, გამოწვეულია ჟესტური ენის ორი მახასიათებლით:

- ძალიან ბევრი მსგავსი სიმბოლოა განსხვავებული მნიშვნელობით;
- ერთი ქესტი ხშირად შეესატყვისება რამდენიმე ფრაზას, რომლებიც წინადადების სხვადასხვა წევრებს წარმოადგენენ.

რა თქმა უნდა, ყრუ-უსინათლოთა ჯგუფში ტაქტილური მეთოდის მომხმარებელ უსინათლო პირებთან შედარებით გაცილებით მეტნი არიან ქესტური ენის მომხმარებელი მცირემხედველი პირები. ამასთან, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ იყენებს ადამიანი ქესტურ ენას – მხედველობით თუ შეხებით – მასთან ურთიერთობისთვის საჭიროა ამ მეთოდის სრულყოფილი ცოდნა. ამრიგად, ყრუ-უსინათლო პირებისთვის, გარემოსთან კონტაქტისას, ყველაზე კარგი გამოსავალია თარჯიმნის დახმარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის მხარდაჭერა ექიმთან ვიზიტის დროს. თუ თარჯიმანი არ არის ხელმისაწვდომი, შეგიძლიათ სცადოთ ურთიერთობა წერილობითი კომუნიკაციის საშუალებით, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ ორივე მხარე სწორად იქნება გაგებული.

## **ქართული ლიტერატურული ენის მომხმარებლები**

ყრუ-უსინათლოთა პირთა ცალკე ენობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ქართული ლიტერატურული ენის ზეპირი ან წერილობითი ფორმის მომხმარებელი ადამიანები. ეს არის ჯგუფი, რომელიც იყენებს კომუნიკაციის ყველაზე მრავალფეროვან მეთოდებს. აქ ერთიანდებიან ადამიანები, რომლებსაც მხედველობის საშუალებით ჯერ კიდევ შეუძლიათ წაიკითხონ ბაგეებიდან, ხელნაწერი ან კომპიუტერული ტექსტები (ხშირად, შრიფტით, რომელიც გაზრდილია 70-მდე). ზოგი მათგანი სწავლობს თითების ანბანს და მისი აღქმისას ეყრდნობა



მხედველობას ან შეხებას. სხვები უკეთ აღიქვამენ დიდი შავი ასოებით ნაბეჭდს, ასევე ხელისგულზე, წინამხარზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ზურგზე შეხებით გადაცემულ ინფორმაციას. სმენადაქვეითებულ ადამიანებს სურთ, რომ მოსაუბრე ესაუბროს ყურთან ახლოს და ხმამაღლა (ეს არ არის კარგი გამოსავალი). ადამიანები, რომლებიც ბრაილს კარგად ფლობენ, არამარტო წერენ და კითხულობენ ქაღალდზე მისი საშუალებით, იღებენ ინფორმაციას მოსაუბრისგან მათ ორ ან ექვს თითზე დაჭერით, ბრაილის საბეჭდ მანქანაზე მუშაობის პრინციპით. სულ უფრო იზრდება ლორმის ანბანის მომხმარებელთა რიცხვი.

არსებობს ასევე საკმაოდ უჩვეულო მეთოდები, მაგ., საუბრისას თანამოსაუბრის ხორხის ხელით ნაზად, შეხებით წაკითხვა.

ყრუ-უსინათლოთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია და განსაკუთრებულ შენიშვნას იმსახურებს:

- სმენის აპარატების მომხმარებელი სმენადაქვეითებული პირები, მათ შორის სულ უფრო პოპულარული FM სისტემის მომხმარებლები;
- უსინათლო პირები;
- ადამიანები, რომლებიც კითხულობენ ბაგეებიდან.



ფოტოების ავტორი: აგნეშკა კიელონკა

## 2. ტაქტილური კომუნიკაცია

ურთიერთობის ეს განსაკუთრებული ვარიანტი ეხება ყრუ-უსინათლო ადამიანებს, ვისთვისაც ინფორმაციის მიღების ძირითადი საშუალება შეხებაა. ისინი იყენებენ მეთოდებს, რომლებიც ემყარება წერის საშუალებით აზრების გამოხატვის უნარს. ამ ანბანის გამოყენებას მარტივად შეიძლება დაეუფლონ, გარდა ამისა, ის წინასწარი შეთანხმების საშუალებასაც კი იძლევა ყრუ-უსინათლო პირთან და ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გამოიხატება უშუალო კონტაქტით.


უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ტოტალურად ყრუ-უსინათლო პირები არ იყენებენ შეხებით კონტაქტს. არის შემთხვევები, როცა ეს მეთოდი არა მუდმივი, არამედ კომუნიკაციის დროებითი საშუალებაა კონკრეტული ადამიანისთვის. ხშირად ეს გამოწვეულია გარემო პირობებით, მათ შორის, ხმაურით, რომელიც ხელს უშლის ტექსტის კითხვას, უკიდურესად ცუდი განათებით და სხვა ხელისშემშლელი მიზეზებით, როგორცაა სმენის აპარატში ბატარეის განმუხტვა ან მიმდინარე დაავადებები, რომლებიც დაკავშირებულია სმენის და მხედველობის ორგანოების მუშაობასთან.

### ხელის გულზე დახატული ლათინური ანბანის ასოები

ადამიანები, რომლებსაც შემთხვევითი კონტაქტი აქვთ ყრუ-უსინათლო პირთან, ყველაზე ხშირად იყენებენ ხელის-გულზე ასოების წერას<sup>9</sup>. ეს პრაქტიკული მეთოდია, რომელიც ხშირად გამოიყენება არასპეციალისტებს შორის, რადგან

---

<sup>9</sup> უსინათლო პირები შავი შრიფტით დაწერილ სიტყვებს აღიქვამენ, როგორც არამობურცულ ანბანს, აღნიშნული განსხვავდება ბრაილისგან - რედ.



მოსაუბრისგან არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებას და ძალიან მოსახერხებელი საშუალებაა მოკლე საუბრებისთვის. ასოები ხელისგულზე უნდა დაიწეროს მკაფიოდ. ეს მეთოდი ფართო საზოგადოებასთან მარტივი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. ამასთან, მხოლოდ ამ ტექნიკის გამოყენება არ არის რეკომენდებული ყრუ-უსინათლოებისთვის, გადაცემის ნელი ტემპისა და შეზღუდული წაკითხვის უნარის გამო. ის, ასევე, არ წარმოადგენს უნივერსალურ მეთოდს ყრუ-უსინათლოთა მთლიანი საზოგადოებისთვის, რადგან მისი მომხმარება რთულია უსინათლო ადამიანებისთვის, რომელთაც არ იციან ლათინური ასოები.

## ტაქტილი


თითის ანბანს იშვიათად იყენებენ ქვესტური ენის მცოდნე ყრუ-უსინათლო პირები, ვინაიდან, ეს არის დამხმარე და არა ძირითადი მეთოდი. აღნიშნული მეთოდი უფრო მეტად პოპულარულია იმ ყრუ-უსინათლოებს შორის, რომლებიც ზეპირ მეტყველებას იყენებენ და დაქტილი ეხმარება მათ სამეტყველო ენის სინტაქსისა და ფლექსიის შენარჩუნებაში.



ეს არ არის მარტივი მეთოდი ყოველდღიურ გამოყენებაში, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოითხოვს გამგზავნისა და მიმღების ხელების კონკრეტული პოზიციის შენარჩუნებას, რაც არ იძლევა თანამოსაუბრეთა ერთმანეთის მიმართ თავისუფალი პოზიციონირების საშუალებას. ტაქტილით თარგმნა რთულია, სჭირდება დიდი დრო და ფიზიკურად დამძლეულია, ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იწვევს კუნთების, ხელების, მხრების და კისრის ტკივილს თარგმნის დროს. ყრუ-უსინათლო პირების უმრავლესობამ იცის ტაქტილოგრაფია, მაგრამ ძირითად მეთოდად მისი გამოყენება მხოლოდ გამონაკლის სიტუაციებში შეუძლია.

## ლორმის ანბანი


ლორმის ანბანი ეს არის ხაზების, წერტილებისა და ტაქტილური ნიშნების სისტემა, რომელიც განთავსებულია ხელის გულზე. მისი საშუალებით კომუნიკაციისას, შესაძლოა გამოვიყენოთ მარჯვენა ან მარცხენა ხელის გული ან ზურგი. ლორმის ანბანი ყრუ-უსინათლოთა კომუნიკაციის მუდმივ, ძირითად საშუალებას წარმოადგენს და ჩამოთვლილ მეთოდებს შორის ყველაზე პრაქტიკულად ითვლება. დასავლეთ ევროპაში ყრუ-უსინათლო საზოგადოებებისთვის აღნიშნული მეთოდის ცოდნა სავალდებულოა.



ლორმის პრაქტიკულობა ვლინდება მისი შესწავლის და რეგულარული გამოყენებისას. ლორმის ანბანს ბევრი დადუ-

ბითი თვისება აქვს, მათ შორის: ენის სიმარტივე, შეცდომების დაშვების მცირე რისკი, ინფორმაციის გადაცემის სწრაფი ტემპი, ერთდროულად რამდენიმე ადამიანს აძლევს ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას, მოსახერხებელია თარჯიმნებისთვის.

ლორში უნივერსალური მეთოდია ყველასთვის, ვისაც შეუძლია აზრის გამოხატვა ნებისმიერი ანბანის გამოყენებით: ბრაილი, ტაქტილოგრაფია ან ლათინური ასოები. რამდენიმე წელია აღნიშნული მეთოდი პოპულარობით სარგებლობს პოლონეთში ყრუ-უსინათლოთა საზოგადოებაში, თარჯიმან-მეგზურებსა და ყრუ-უსინათლობით დაინტერესებულ სხვა სივრცეებში.



ფოტოების ავტორი: აგნეშკა კიელონკა

### 3. აქტიური მეგზურობა

ორივე დისტანციური შეგრძნების დარღვევის გამო, ყრუ-უსინათლოთა ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, ხშირად, მხოლოდ შეხებით მიღებული ინფორმაციით შემოიფარგლება. მხედველობისა და სმენის არქონა ნიშნავს არსებულ რეალობასთან კონტაქტის დაკარგვას, პრობლემას წარმოადგენს ოჯახთან და კულტურულ გარემოსთან ჩვეუ-



ფოტოების ავტორი: ანგეშკა ჟიულონკა

ლი კომუნიკაცია. შეუძლებელი ხდება რამდენიმე ადამიანთან ერთდროული საუბარი. რთულდება დიდ ჯგუფთან კომუნიკაციაში ჩართვა და აქტიური მონაწილეობა. სოციალური იზოლაციის შეგრძნება უმძიმესი პრობლემაა ყრუსინათლობის შემთხვევაში.

ყრუსინათლო პირები სამყაროს უკავშირდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი სრული გაგების შესაძლებლობა აქვთ და აცნობიერებენ სიტუაციებს, რომლებშიც მონაწილეობენ, ასევე აანალიზებენ სხვათა სიტყვებს და ქცევას. რაც უფრო მეტ აუდიოვიზუალურ ინფორმაციას იღებენ გარემოს შესახებ, მით უკეთესი იქნება მასთან კავშირი, რათა სრულყოფილად, შეგნებულად და დამოუკიდებლად მიიღონ მონაწი-

ლეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყრუ-უსინათლომ უნდა გამოიყენოს თარჯიმანი, ვისი მეშვეობითაც მიიღებს სიტუაციის სრულ აღწერას.

თარჯიმან-მეგზურის დახმარებით, ყრუ-უსინათლო პირს შეუძლია ჰქონდეს მაქსიმალური კავშირი გარემოსთან და გახდეს მისი განუყოფელი ნაწილი. იმ ადამიანის თარჯიმანმეგზურობა, ვინც ვერ ხედავს და არ ესმის, არ არის მარტივი ამოცანა. მთარგმნელმა უნდა შეაფასოს ფიზიკური გარემო, ყრუ-უსინათლო პირის მხედველობის და სმენის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, წარმოადგინოს მთელი სიტუაციური კონტექსტი და ფოკუსი გადაიტანოს აზრების ორგანიზებაზე, კომუნიკაციის სიცხადესა და შეტყობინებების ოსტატურ სინთეზზე. პოლონეთში მრავალი წელია მუშაობს გადამზადებული თარჯიმან-მეგზურების და მოხალისეების ქსელი, რომელთა გამოყენება შეუძლიათ ყრუ-უსინათლო პირებს.

თარჯიმან-მეგზურების ყველაზე გავრცელებული ფუნქციაა ყრუ-უსინათლო პირის თანხლება სხვადასხვა დაწესებულებებში – ექიმთან, საყიდლებზე და ა.შ., ამა თუ იმ საკითხის მოგვარების მიზნით. მომავალი თარჯიმან-მეგზურები სწავლობენ ლორმის ანბანს, იდეალური თარჯიმან-მეგზურის თვისებებს და ყრუ-უსინათლოებს მეცადინეობის, ექიმთან და საყიდლებზე ყოფნის დროს ლორმის საშუალებით გადასცემენ ინფორმაციას. მისი წყალობით, ყრუ-უსინათლო პირები ეფექტიანად უმკლავდებიან უცნობი გარემოს გამოწვევებს და თავისუფლად ურთიერთობენ ხალხთან.

ამასთან, ყრუ-უსინათლო ადამიანები ყოველთვის არ იყენებენ თარჯიმან-მეგზურების დახმარებას. ზოგჯერ ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს, ზოგჯერ შეგნებულად არ სურს პირს დახმარების მიღება. იმ სიტუაციაში, როდესაც ის მარტო მიდის, მაგალითად, ოფისში, უნდა გაითვალისწინოს,

რომ მისმა პიროვნებამ, შესაძლოა, შიში შეუქმნას პოტენციურ თანამოსაუბრეს, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებს ასეთი მომხმარებლის მომსახურებას. მიღებულია, თუმცა არასწორია წარმოდგენა, რომ რაც უფრო „უჩვეულო“ კომუნიკაციის მეთოდი, მით უფრო რთულია კონტაქტი, რადგან მეთოდი არ განსაზღვრავს კომუნიკაციის ეფექტიანობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამოსაუბრეების დამოკიდებულება და პიროვნული მახასიათებლები. წარმატებულ კომუნიკაციას უდავოდ ხელს შეუწყობს სხვა ადამიანების გახსნილობა, მოთმინება, შემოქმედებითობა, სიმშვიდე და სიკეთე. უნდა გვახსოვდეს, რომ კონტაქტის დროს სტრესი ორივე მხარეს თან ახლავს და უფრო დიდია ყრუ-უსინათლოს შემთხვევაში, რომელსაც, სავარაუდოდ, ეშინია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი საკითხის სწორად მოგვარების იმედი აქვს. ორივე მხარის წარმატების საწინდარი არის არა აკადემიური ტექნიკის ცოდნა, არამედ – უბრალო ინტუიცია და თანაგრძნობა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში უფრო ხშირია ამ ძალისხმევის თავიდან არიდება და ყრუ-უსინათლო პირის თავიდან მოშორება. რა თქმა უნდა, ხშირად ხდება, რომ ურთიერთთანამშრომლობა ობიექტურად შეუძლებელია და თარჯიმნის დახმარებაა აუცილებელი. თუმცა, ასეთ სიტუაციაშიც კი, ყველა ყრუ-უსინათლო პირი აუცილებლად დააფასებს იმ ჩინოფნიკის, ექიმის ან მედლის კეთილ ნებას, ვინც, შეხვედრის დროს შეეცდება კარგი ატმოსფეროს შექმნას. ეს არ არის რთული. მისასალმებელი და გამოსამშვიდობებელი ხელის ჩამორთმევა ყოველთვის მიღებულია. რა თქმა უნდა, ყრუ-უსინათლო პირები დააფასებენ, როდესაც გააფრთხილებენ იმ მოქმედებების შესახებ, რაც უნდა მოხდეს. მაგალითად, შევიძლიათ მისცეთ მას ნება, ნაზად შეეხოს რომელიმე სამედიცინო ინსტრუმენტს. ასეთი მცირე ჟესტები ყრუ-უსინათლო პირის



მიმართ დამოკიდებულების მაჩვენებელია. ერთი ჩვეულებრივი ხელის ჩამორთმევა შეიძლება გახდეს შეთანხმების საფუძველი ყრუ-უსინათლო და ქმედუნარიანი სამყაროების წარმომადგენლებს შორის.

#### 4. უფრო მარტივი კონტაქტი და კომუნიკაცია

ყრუ-უსინათლოთა საზოგადოების დაყოფა შესაძლებელია სხვადასხვანაირად, იმის მიხედვით, თუ რომელ პრობლემაზე გსურთ ყურადღების გამახვილება. იმის ძიება, თუ როგორ დავამყაროთ კონტაქტი და გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია ყრუ-უსინათლო ადამიანთან, საშუალებას იძლევა, განასხვაოთ მათი სამი ჯგუფი:

- სმენის დომინანტური დაზიანების მქონე პირები;
- მხედველობის დომინანტური დაზიანების მქონე პირები;
- სრულიად ყრუ-უსინათლო პირები.

#### სმენის დომინანტური დაზიანება

ამ ჯგუფში შემაჯალ ყრუ-უსინათლო პირებს საერთოდ არ ესმით სამეტყველო ბგერები ან ესმით მხოლოდ სმენის აპარატებით. ეს ადამიანები კომუნიკაციის დროს ძლიერ ეყრდნობიან მხედველობას, თუმცა, ისიც დაზიანებულია. ამ ჯგუფში გავრცელებული პრობლემაა კატარაქტა, რომელიც იწვევს მხედველობის სიმახვილის (დაბინდვა) შემცირებას და პერიფერიული ხედვის შევიწროვებას (გვირაბისებური ხედვა). ყრუ-უსინათლოთა ამ ჯგუფს, ჩვეულებრივ, ნაკლები პრობლემები აქვს დამოუკიდებელ გადაადგილებისას, მაგრამ მეტი პრობლემები – უცხო ადამიანებთან ურთიერთობისას. ამ ჯგუფის ადამიანებს შეუძლიათ გამოიყენონ ქუსტური ენა,

წაიკითხონ ბაგეებიდან ან მიიღონ ინფორმაცია სმენის აპარატის საშუალებით. არახელსაყრელ პირობებში ისინი იყენებენ ტაქტილურ მეთოდებს.

## პრაქტიკული რეკომენდაციები

- შეეცადეთ ჩაატაროთ საუბრები მშვიდ, კარგად განათებულ და ნაკლებხმაურიან ოთახებში;
- გაიგეთ, ესმის თუ არა თქვენს თანამოსაუბრეს რომელიმე ყურით უკეთესად და იმ მხარეს დაუდექით საუბრისას.



- თუ თქვენი თანამოსაუბრე ბაგეებიდან კითხულობს, მიმართეთ მას, თუკი გიყურებთ, ყურადღების მისაპყრობად შეეხეთ ხელზე;

- ნება მიეცით თანამოსაუბრეს, დამოუკიდებლად აირჩიოს დაშორება (დადექით უფრო ახლოს ბაგეებიდან მკითხველებთან, ცოტა მოშორებით – მხედველობის კარგი სიმკვეთრის და გვირახული მხედველობის მქონე ადამიანებისთვის);

- ნუ მიუახლოვდებით თანამოსაუბრეს მაშინაც კი, თუ ფიქრობთ, რომ ძალიან შორს არის;
- არ იაროთ საუბრისას;
- შეინარჩუნეთ მხედველობითი კონტაქტი ან, საჭიროების შემთხვევაში, შეეხეთ;
- როდესაც ყრუ-უსინათლო პირთან ერთად მოძრაობთ, თუ რამის თქმა გინდათ, შეჩერდით;
- ისაუბრეთ ბუნებრივი ტემპით, არა ძალიან სწრაფად; სიტყვებს შორის მოკლე შესვენებები გააკეთეთ. შეეცადეთ, საუბრისას თქვენი ტუნების მოძრაობა იყოს მკაფიო.
- ლაპარაკისას ნუ გააკეთებთ თავით ზედმეტ მოძრაობებს, ნუ დაფარავთ ტუნებს, მოერიდეთ რეფლექსურ უესტებს.
- მიეცით ინფორმაციას სასრული აზრების ფორმა – იგი უნდა იყოს კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი.
- ააგეთ წინადადებები მარტივი და კომპაქტური კონსტრუქციით – თავიდან აიცილეთ ჩართულები და გადახვევები.
- არ ილაპარაკოთ ძალიან ხმამაღლა – სმენის აპარატის მომხმარებლებს სჭირდებათ მკაფიო და არა ძალიან ხმამაღლა ლაპარაკს.
- თუ გსურთ, რომ ყრუ-უსინათლო პირი შეხვედრის დროს ინიშნავდეს, მიეცით დრო, რათა საუბრის შემდგომ ჩაიწეროს – ერთდროულად მოსმენა და წერა (ასევე, პირიქით) მათთვის შეუძლებელია.
- არ შეცვალოთ თემა მოულოდნელად, გაფრთხილების გარეშე.
- ჩაიწერეთ ან შეინახეთ მნიშვნელოვანი სახელები. გახსოვდეთ, რომ ადვილია მსგავსი უღერადობის ბგერების არევა (როგორც სმენითი, ასევე მხედველობითი).

დამახსოვრეთ, რომ ძნელია ანალოგიურად მუდერი ბგერების განსხვავება (მაგ.: „პ“ და „ტ“), აგრეთვე, მათი წაკითხვა ბაგეებიდან (მაგ.: „ბ“ და „პ“).

- დააკვირდით თანამოსაუბრეს — მისი ქცევისა და სახის გამომეტყველების მიხედვით, შეგიძლიათ გაიგოთ, ესმის თუ არა, რას ელაპარაკებით. თუ ის იყურება ქვევით, ყველაფერზე თავს გიქნევთ ან რეაგირებს არაადეკვატურად, გაიმეორეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია კიდევ ერთხელ ან შეეცადეთ ეს სხვა სიტყვებით გადასცეთ. წახალისეთ, რათა გაიმეოროს ის, რაც გაიგო.
- თუ შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ადამიანი ვერ იგებს თქვენს სიტყვებს, დარწმუნდით, რომ სმენის აპარატი ჩართულია და ბატარეები კარგად მუშაობს. უესტური და თითის ანბანის ნიშნები უნდა ვაჩვენოთ პატარა სივრცეში, პირის ღრუსთან უფრო ახლოს, ვიდრე სმენადაქვეითებულ ადამიანთან ურთიერთობისას, რომელიც კარგად ხედავს.
- თუ სმენადაქვეითებული პირი მონაწილეობს დისკუსიაში, აცნობეთ მას, როდის შეუძლია ლაპარაკი.
- ძალიან არასასურველ აკუსტიკურ პირობებში, შეეცადეთ შეცვალოთ მეტყველება კომუნიკაციის სხვა მეთოდით (წერა, სენსორული ანბანი, უესტი).

## **მხედველობის დომინანტური დაქვეითება**

ამ ჯგუფში შემავალი ყოველწინათლო პირები საერთოდ ვერ ხედავენ ან ხედავენ ძალიან სუსტად (ფიგურების ან შენობების კონტური, გარემოს ფრაგმენტები, მაგ., გასაღების ჭუჭრუტანიდან გახედვის მსგავსად ხედავენ ფერად ლაქებს, ფარნებს, აქვთ შუქის შეგრძნება – ხედებიან სინათლეა თუ სიბნელე). ამ ადამიანებისთვის უცნობი სივრცეში გადაადგილება და გარე-

მოს – ობიექტებისა და ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიღება გაცილებით რთულია, ვიდრე ურთიერთობა. მხედველობის დომინანტური დარღვევის მქონე ყრუ-უსინათლო პირებს სმენის პრობლემებიც აქვთ, ამიტომ მათთან კონტაქტის დროს არ უნდა დაივიწყოთ რეკომენდაციები სმენის აპარატის მომხმარებლებთან სწორი კომუნიკაციის შესახებ. ეს ადამიანები ყველაზე ხშირად იყენებენ ზეპირ მეტყველებას, ცუდ პირობებში კი – ტაქტილურ ურთიერთობას.

## პრაქტიკული რეკომენდაციები

- კონტაქტის დამყარებისას მოულოდნელად ნუ შეეხებით მხედველობადაქვეითებულ თანამოსაუბრეს, მიეცით საშუალება, ჯერ თქვენს ხმას მოუსმინოს.
- საუბრის დაწყებისას გაეცანით. განსაკუთრებით, თუ იშვიათად გაქვთ მასთან ურთიერთობა. ნუ აიძულებთ მას, გამოიცნოს, ვინ ხართ და ამოგიცნოთ ხმით.
- მიმართეთ პირდაპირ უსინათლო პირს და არა მის მეგზურს.
- უსინათლოებთან საუბრის დროს ნუ წახვალთ გაუფრთხილებლად. როდესაც ოთახში დაბრუნდებით, დაუყოვნებლივ აცნობეთ მას.
- იკონტაქტეთ მასთან. დროდადრო შეეხეთ ხელებზე და უთხარით, რომ თქვენ უსმენთ და გესმით მისი (ეს თავის დაქნევის ტოლფასია).
- ნუ მოერიდებით ფერების და მხედველობასთან დაკავშირებული სიტყვების მითითებას („შეხედეთ“, „ხომ დაინახეთ“) – ეს ის სიტყვებია, რომლებსაც ხშირად იყენებენ უსინათლოებთან.
- გარემოს აღწერისას გამოიყენეთ ზუსტი ტერმინები, მაგალითად: „2 მის შემდეგ, მარჯვნივ სკამია“ და არა: „სკა-

მი“: სიტყვები „აქ“ ან „იქ“ უსინათლოთათვის შინაარსის მატარებელი არ არის.

- ნურაფერს შეცვლით უსინათლოთა გარემოში მისი გაფრთხილების გარეშე.
- ნუ გადაწვევთ თანამოსაუბრის მაგივრად – ნება მიეცით, თავად მიიღოს ყველა გადაწვევტილება, თუნდაც, ერთი შეხედვით, ტრივიალური.



- სჯობს, მოძრაობის დროს, უსინათლო პირი მოგეჭიდოთ მკლავზე ხელით. ნუ დააყენებთ მას თქვენ წინ – მეგზური ყოველთვის პირველი მიდის.

- თუ გსურთ, რომ უსინათლო თანამოსაუბრეს სთხოვოთ დაჯდომა, დაადებინეთ ხელი სავარძლის საზურგეზე, შიგა მხრიდან.

- რაიმე საფრთხის დანახვისას, ნუ იყვირებთ: „ყურადღება!“ ამის ნაცვლად, მიაწოდეთ კონკრეტული ინფორმაცია, მაგ.: „თავი დახარე!“
- ადამიანების უფრო დიდ ჯგუფში ყოფნისას, მიმართეთ უსინათლო პირს სახელით ან გვარით, თუ გინდათ, რომ ისაუბროს მოცემულ მომენტში.
- დაიმახსოვრეთ სამი ძირითადი ელემენტი, რაც დანახვას გაუადვილებს: კონტრასტი, ზომა, განათება.
- ისაუბრეთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ან ხდება ირგვლივ.
- უთხარით, რასაც ხედავთ, მაგ., რა არავერბალურ პასუხებს (ღიმილი, მხრების აჩქევა) იწვევს უსინათლო ადამიანის სიტყვები.


## სრულიად ყრუ-უსინათლო პირები

სრულიად ყრუ-უსინათლო პირებზე, ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ ვერაფერს ხედავენ და არაფერი ესმით. თუმცა, ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია. ნამდვილად არსებობენ ყრუ-უსინათლო ადამიანები, რომელთა ნარჩენი შეგრძნებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ იგივე დახმარება სჭირდებათ, რაც სრულიად ყრუ-უსინათლოებს, თუმცა სპეციალურ, მათ შესაძლებლობებზე მკაცრად ადაპტირებულ პირობებში მათ შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ ერთი ან ორივე შეგრძნება. ეს ადამიანები, როგორც წესი, ძალიან მგრძობიარეები არიან შეხების, ვიბრაციის და სუნების მიმართ. მათთან ყოფნისას განსაკუთრებით უნდა გასსოვდეთ უსინათლოებთან კონტაქტის ძირითადი რეკომენდაციების შესახებ. ამ ჯგუფში ორი ქვეჯგუფი შეიძლება განვასხვაოთ: ადამიანები, ვისთვისაც პირველი ენა არის ლიტერატურული ქართული, კარგად მეტყველებენ და

წერენ და ადამიანები, ვისთვისაც პირველი ენა არის უცხოური ენა. ამ დაყოფის მიუხედავად, თარჯიმნის დახმარება ყოველთვის საჭიროა.

## პრაქტიკული რეკომენდაციები

- თუ ურთიერთგაგების პრობლემა მოგვარებულია, რადგან თქვენ იყენებთ თანამოსაუბრისთვის ცნობილ კომუნიკაციის მეთოდს, მოიქეცით ისე, როგორც ნებისმიერ უსინათლო ადამიანთან ურთიერთობისას მოიქცეოდით.
- უპასუხეთ ყრუ-უსინათლო პირის მხრიდან კომუნიკაციის ნებისმიერ მცდელობას.





**იცნობ ყრუ-უსინათლო პირს?**  
**იცნობ ვინმეს, ვისაც დახმარება სჭირდება?**  
**გსურს ამ თემასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის მიღება?**  
**შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს კლუბებს და ასევე ეწვიოთ ჩვენს**  
**ფბ.გვერდს: [www.facebook.com/GeoLorm](http://www.facebook.com/GeoLorm)**  
**სიამოვნებით დაგეხმარებით და გაგცემთ ყველა შეკითხვაზე პასუხს:**

### **თბილისის ყრუ-უსინათლოთა კლუბი**

მისამართი: თბილისი, დავით ყიფიანის, №4;  
მობ: 577456615 (მაია მეტონიძე)  
საქართველოს ყრუთა კავშირი  
ელფოსტა: clubgeolorm@gmail.com

### **ზუგდიდის ყრუ-უსინათლოთა კლუბი**

მისამართი: ზუგდიდი, მარჯვენა სანაპიროს №1;  
მობ: 595096803 (ნონა კვარაცხელია)  
ელფოსტა: clubzugdidi@gmail.com

### **თელავის ყრუ-უსინათლოთა კლუბი**

მისამართი: თელავი, არჩილ მეორის ქ. №25;  
მობ: 557199073 (მაია რაზმაძე)  
ელფოსტა: maiarazmadze@gmail.com

### **ბათუმის ყრუ-უსინათლოთა კლუბი**

მისამართი: ბათუმი, ზვიად გამსახურდიას №6;  
მობ: 555121091, 598092991 (თაეისუფალი სივრცე)  
ელფოსტა: Batumifreespace@gmail.com, mzia.meladze.88@mail.ru

პუბლიკაცია ხელმისაწვდომია  
Creative Commons Attribution 3.0  
ავტორობის ლიცენზიით.